

398

ჭ 26

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ჯაფარიძე

გ რ ო ტ ე ს კ ი ქ ა რ თ უ ლ ფ ო ლ კ ლ ო რ შ ი

10.01.09 — ფოლკლორისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2006

✓

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინა ჩხაიძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.09)

ოფიციალური ოპონენტები: რუსუდან ჩოლოყაშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (10.01.09)

მერი ხუხუნიანი-წიკლაური  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (10.01.09)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „8 თებერვალი“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P.10.10 № 4) სხდომაზე. მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის „27 თებერვალი“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

წ. ტაბიძე

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: ქართული ხალხური გროტესკის პროლემის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა დროის მოთხოვნამ: კულტუროლოგიურ ჭრილში წარმოვადგინოთ ქართული ფოლკლორი. გროტესკული ასპექტები მნიშვნელოვანია ერის ეთნოფსიქოლოგიაზე დასაკვირვებლად. გროტესკში აკუმულირებულია სუბსტრატა, რითაც შესაძლებელია ერის ხასიათის, სულის, მენტალობის შესწავლა, რისთვისაც საუკეთესო მასალას სწორედ ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს.

გროტესკის, როგორც ტერმინის, მრავალგვარი დეფინიცია არსებობს. გროტესკულობა ტევადი შინაარსისა და მრავალგანზომილებიანია. მ. ბახტინის კვლევით, გროტესკის თაურსაწყისი (არქეტები) ძვეს ისეთ ფუნდამენტურ ოპოზიციურ წყვილში, როგორცაა ქოსი და კოსმოსი. გროტესკი იმთავითვე მყოფობს მითოპოეტურ ცნობიერებაში, როგორც სამყაროსთან მიმართების ერთ-ერთი პარამეტრი. გროტესკის ცნების გულისგული სერიოზულისა (ოფიციალურის) და სასიცილოს ოპოზიციური (ამბივალენტური) ერთობაა. ჩვენ ხალხური მასალის კვლევისას, ტერმინი გროტესკი სწორედ ამ მნიშვნელობით მოვიხმარეთ.

კვლევის საგანი და მიზანი: ნაშრომის მიზანი იყო ქართული ფოლკლორის ზეპირ თუ წერილობით, ვერბალურ თუ სანახაობით ნიმუშებში გროტესკული პასაჟების გამოკვეთა. ამ თვალსაზრისით, შევეცადეთ სიღრმისეულად ჩავწვდომოდით სხვადასხვა რაკურსით მრავალგზის შესწავლილ ხალხურ სანახაობას – „ბერიკაობა-ყენობას“, ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ციკლის ზღაპრებს, „ცოცხალ ტყუილს“, ქართული მითოსის ქალღვთაებთა ორმაგ ბუნებას, გახალხურებულ ბიბლიურ სიუჟეტებსა და საკრალურ პირთა დამცრობა-დამდაბლების მიზეზებს; ამ კუთხით წარმოებულმა კვლევამ, გროტესკი ქართული ფოლკლორისათვის ძალზე სახასიათო მოვლენად წარმოაჩინა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები: სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა მონოგრაფიულად შესწავლილი ქართული ხალხური გროტესკი; უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერ-ფოლკლორისტთა მიერ შენიშნულია ხალხური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი სასიცილო, გატრიზავება-გაბამბულების, გაზვიადება-დამიწების (გვირგვინის ანდისი) უცნაური ელემენტები, მაგრამ საგანგებოდ, მით უფრო მონოგრაფიულად, ეს კითხი არავის შეუსწავლია.

ქართულ ზეპირსიტყვიერ მასალაზე დაკვირვებით აღინიშნა, რომ ირია ქართული ხასიათი ეთნოფსიქოლოგიურ და მსოფლმეტეფელოლოგიურ თვალსაზრისით, შეი. გაცხადდა, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებას დაუტყვევებს და უფრო მეტად მოუხანავებს კარნავალურის, სასიცილოსა და ტრავესტულის ელემენტებს.

2156

